


12  
911

ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ  
ՊՈՇՏԱՄՈՒՆ



036060.  
№ 12

1911

ՊԵԼՈՎԱԾՈ ՑԱՇՑՈՂ  
ԱՐԴԻՎԱՆ ԲԸՐՋԱԿԱՑՈՒՆ.

## შინაარსი:

I—არავის-კი არ უთხრა...—სურათი . . . . .	1
II—თინა,—დექტი, ბ. ქუჩიშვილისა. . . . .	3
III—ხუტა კუონი, -ს. დადიანისა . . . . .	5
IV—ბიჭო გოგია,—(დასასრული)—ირ. ევდომებისა . . . . .	11
V—ექიმი,—(ფრანგულიდან გადმოკეთებული ერთ-მოქმედებანი ჰიქს),—მარიამ იოსესიანისა. . . . .	16
VI—ფრინველებმა მელის კულით ქვა ასროლინეს,—თარ-გმანი ოლ. ჭრელაშვილისა . . . . .	23
VII—რებუსი და აღსნა . . . . .	24



1911 03 06

# ԵՎՀԱՐԱՄԱԴ

ՊԵԼՈՎԱԳՈ ՅԵ VII.

№ 12

03 06 1911 Վ.



ՏՐԱՎՈՆ-ՀՈ ԱՆ ՄՈՒՏԵՔ...

## შინაარსი:

I—არავის-კი არ უთხრა...—სურათი . . . . .	1
II—თინა,—ლექსი, ბ. ჭუჩიშვილისა. . . . .	3
III—ხუტა ჭყონი, ს. დადანისა . . . . .	5
IV—ბიჭი გოგია,— (დასასრული) —ირ. ქვდაშვილისა . . . . .	11
V—ექიმი,— (ფრანგულიდან) ბადმ. აკეთებული ერთ-მოქმედებ- ბის ნი ზიქსა), — მარიამ იოსესიანისა. . . . .	16
VI—ფრინველებმა მელას კუდით ქვა აკრეფიანეს, — თარ- გმანი თლ. ჭრელაშვილისა . . . . .	23
VII—რებუსი და აღსნა . . . . .	24



## თ ი ნ ა.

საოცნებო ტურფა ბაღში  
წიგნით ხელში იჯდა თინა;  
ნაკადულის  
ხმის  
წერწერი  
უკრს ესმოდა ვით ნანინა.

---

გალობრძა

და

კითხულობდა,—

ტიტინებდა,

ლიკლიკებდა—

და მურცხალი

ცქვიტი, მალი

მას უმღერდა,

ჭიკჭიკებდა.

---

გაკვეთილებს

იზეპირებს

ჩაწაწინა

ჩვენი თინა,

მაგრამ რაღაც მოაგონდა

მოიწეონა...

მიიძინა.

---


როს ბულბული საალერსოდ  
რუის ჰირას ვარდს უსტვენდა,  
ამ დროს თურმე გოგოცუნა  
ოცნებებით სადღაც ჭირენდა.

ნეტარების სიზმარის ფრთებს  
გაეტაცნათ ჩვენი თანა  
და ენასა მძობლიური  
კარძიდამო, სოფლის ბინა.

იქ ეგელანი შეჭხაროდნენ;  
მასაც ტკბილად მოელხინა;  
გულს იკრავდა, ეხვეოდა  
საუგარელი დედა ნინა.

აგერ, თებროს შორიდანვე  
თვალი მოჭკრა, დაუსტვინა,  
და შესძისა: თებრო! თებრო!!  
...გაეღვიძა... გაეცინა...

გ. ქუჩიშვილი.






Рис. О. И. Ширинки

## ხუტა ჭყონი<sup>1)</sup>.

(სამეგრელოში გაგონილი ამბავი.)



კვე საღამოს ბინდს დაეკრა და  
ჩამავალი მზე, თთქოს ამ მშე  
ნიერ ქვეწის მოშორება ემნე  
ლებაო, ცის კიდურიდან ეშმა  
კურად იჭვრიტებოდა და თავის  
ოქროსფერ სხივებს უხვად აურქვევდა მოპირდა  
ნირე მთის მწვერფალებს. ქვეწაზე სიჩუმე მეარ  
დებოდა და ამ სიჩუმეში მდინარე სობის<sup>2)</sup> წელის  
შეიღვი თან-და-თან ძლიერდებოდა.

1) ხუტას მუხა.

2) მდინარეა სამეგრელოში.

მხედ უკანასკნელი სხივი შეათამაშა, როდესაც ენტერესი  
გრძელ-ტარა წალდ ამოღლიავებულმა, შეაბიჯა უტექ ტექში.  
დღისითაც გულჩახვეულ და ჩაბნელებულ ტექში უკვე იმდენად  
ბნელოდა, რომ ხუტას ღამის სიბნელეს შეჩვეულ თვალებითაც  
კი უმნელდებოდა ბილიკის გარჩევა.

შორს, ტეის სიღრმეში კიდეც გამოეხმაურა თავის უსია-  
მოვნო ღმუილით „ტუჩ-მოკლე და კუდა-გძელი“ მგელი ღა-  
მის წევდიადს; ამ სმას სხვა ამსახავებიც აჲჭინენ და ტექში  
გაისმა მგლების ხროვის ღმუილი, რომელიც უოველს სულ-  
დგმულს შიშის ზარსა სცემს. ხუტასაც ქრუანტელმა დაუარა-  
ტანში, მაგრამ გადაიწერა ბირჯვარი და განაგრძო თავისი  
გზა. კარგა ხანი იარა ხუტამ, მაგრამ ტექს კერ კიდევ და-  
სასრული არ უჩანდა. ღმუილი თან-და-თან ახლოვდებოდა და  
ბილიკის ნაპირად რამდენჯერმე მგლის ხარბმა თვალებმაც გა-  
იბრიალეს. სისხლის მოუვარე მსეცებმა იგრძნეს ადამიანის სი-  
ახლოვე და მის გარშემო სწრაფად იკრიბებოდნენ. განსაცდე-  
ლი თან-და-თან ახლოვდებოდა. ხუტამ ისევ სიფრთხილე არ-  
ჩია: მოიქნია რაც ძალი და ღონე ჭიონდა თავისი გრძელ-  
ტარა წალდი, ღრმად ჩაარჭო გზის ბირადვე მდგარ ერთ უზარ-  
მაზარ მუხაში, ავიდა მის შემწეობით უახლოეს ტოტამდის და  
აფოფნდა ხეზე. ამოარჩია ერთი დიდი ტოტი და მოიკალათ  
ზედა. თან ეაბალასი შემოიჭირა წელზედ და ხეზე მიიკრა-  
თავი, რომ გინიცობაა ჩასძინებოდა, მირს არ ჩამოვარდნი-  
ლიერ.

დაშვედდა თუ არა ხუტა, მოისხნა ქამარში გაგეთებული  
გძელი ქისა, თამბაქოთი საფსე, გასტენა თავისი ჩიბუხი, და-  
ადგა ზედ მოკიდებული აბედი, გაასწორა ცერით და არხეინად  
დაიწეო წევა.

ამასობაში მკლებმა უპვე მიღებლიეს ხუტას თავშესტყვიდა  
და მთელი წროვა ღმუილითა და წემუტუნით მუხას გარს უტ-  
რიალებდა. ოაც უფრო მოუწდომელი იქო მათვის მათი სა-  
კბილო, მით მაღა უფრო და უფრო უძლიერდებოდათ და, ში-  
შილით გახელებულებს, მაგარი კბილები საჭმლისთვის უკაწ-  
კაწებდათ.



უცებ ხუტაშ იგრძნო ზევიდან რაღაც ცაცუნი... აიხედა

მაღლა და უსიამოვნო ქრეისტელმა დაურბინა ტანშია: თამაშები ზედ ცოტა წინადგე აბობდებულიერ ერთი გეებერთელა დათვი; ხუტა უნებურად შეიშმუშა და ანგარიშ-მიუცემლად ხელი მოავლო თავის წალდს; მაგრამ გაოცებულმა ისევ ხელი უშება იარაღს: დათვმა თათი ტუჩებზე მიიდგა და მერე იქით აქეთ გააჭია, თითქოს ხუტას ასე ეუბნებოდა: „ხუ, ჩუმად იუგი, ორი ერთნაირ საშიძარ მდგომარეობაში გართ და მეგობრები ვიყოთო.“

ხუტა დარწმუნებული იყო, რომ მართლაც, სანამ დაბლა მგლები დაძრწოდნენ, დათუნია ჩხუბს არ დაუწებდა, მაგრამ უნდოა ადამიანის გული, და ხუტაც ასლა იმასა ფიქრობდა, როგორ მოქმორებინა თავიდან ეს უსიამოვნო მეზობელი.

მხეცხე უფრო დაუნდობელი და ჯიბიერი გამოდგა ადამიანი. ნელ-ნელა ამოიხიდა თავისი ბასრი წალდი, კარგიდ მოიმაგრა თავი ტოტზე და, რაც მალი და ღონე ჰქონდა, ორჯელ დაჸკრა იმ ტოტს, რომელზედაც დათვი იჯდა. რაც ტოტს ზიანი მიეცა, ვეღარ დაიმაგრა დათუნიას სიმიმე, ერთი დაიტკაცენა და დათუნიამ ასე მოულოდნელად მიგ მგლების ხროვაში ბრავვანი მოადინა.

მგლები მიგარდნენ საბრალო დათუნიას და, თუმცა გმორულად იბრძოდა, თუმცა ბევრს დაამტკრია ვესები, ბევრს გამოვათრა მუცელი, მაგრამ მაინც რას გააწეობდა ერთი ათასში. ერთის თვალის დახამსამებაზე დათვის ტეავის ნაგლეკოცკი არ დარჩენილა. ხუტა დიდის უურადღებოთ ადგნებდა თვალ-უერს, რამდენადაც დამის სიბნელე ნებას ამლევდა, ამ სიკვდილ-სიცოცხლისათვის ატეხილ ბრძოლას.

განთიადი თან-და-თან ახლოვდებოდა, აღმოსავლეთი ნათლებოდა და ვარსკვლავნი მეტის სინაზისაგან თვალებს ხუჭავდნენ. დილის მაგრილობელმა ნიავმა სის ტოტები შეარსია ვდნენ.



და ფოთლებმაც გათენება ჩურჩულით ერთმანეთს შეატყობინებს: მკლებს თანადა-თან სიბრაზე და მუქარა ვეღრებად გადაეცვალათ და ახლა მხოლოდ ცას შებღაოდნენ, თითქოს აკრე ეუბნებოდნენ: „არა გაქვს ქვეეანა კარგად მოწეობილი: ჩვენ მკლებად გაგიჩენივართ, გაუძღვომელი გული და სარბი თვალები მოგიცია, ეოველი სულდგმული თითქოს ჩვენს სახრდოდ გაგიმზადებია, მაგრამ უველა თავის დასაცველად სხვა-და-სხვანაირად შეგითარაღებია და ჩვენი ცხოვრება ამით გაგიმნელება“ - ო. ამ ღროს მაღლიდან, თითქოს ეს უვეღრება ვიღაცამ სამართლიანად სცნოვო, რაღაც სეტევასავით ტეაპა-ტეუპით წამოვიდა. ხუტამ ერთი მათგანი დაიჭირა და გემო გაუსინჯა... ნამდგრილი კვერი იუო \*).

მკლები უცებ დაჩუმდნენ, მთვარდნენ, ჰირი დასტაცეს და ტემი შეერივნენ. მხოლოდ ერთი მკელი დარბოდა და გამალებული რაღაცას დაემებდა, სან ზევით აიხედავდა და სახარლად შებდავლებდა. ხუტამ ის ერთი ნაჭერიც ჩამოუგდო. მგელმა უცებ შესანსლა და უკმაჟოფილო ბუნმულით ისიც ამ ხანაგების კვალს გაუდგა.

მზემ ტეის შიგ შეა-გულშაც ჩამოაწვდინა თავისი ნათელი სხივები. ხუტა ჩამოვიდა სიდან და გადაიწერა ჰირჯვარი: „ღმერთო! დაგელოცოს სამართალი, ეოველ სულიერისათვის სახრდო გაგიჩენა“ - ო, წაიბუტიუტა და გაუდგა გზას თავის სახლისაკენ.


გავიდა რამდენიმე წელიწადი. სოფლელებმა ჩვენს ნაცნობს

\*) სამევრელოში ასეთი რწმენა არსებობს, ვითომც როდესაც ადამიანი მგლებს გადაურჩება მის ნაცვლად ღმერთი მგლებს კვერებს გადმოუყრის.

მუხას ამხანაგები ჩამოაცალეს. მარტო-ხელს მუხას დაკავება  
თავზე ქარიშხალი და ავდარი; ციდან გადმოვარდნილი მეხიც  
არ დაჭილებია. ბოლოს იმანაც გერ გაუმლო ამდენ ვაღაგა-  
ლასს: ერთ დღეს სოფლელებს ისიც წაქცეული ეპოვნით; და-  
ქვრათ შეძათ და ის ადგილი-კი, რომელიც მუხის წაქცევის  
დროს მის მაგარ ფეხებს ამოებლიჯა, ახლაც არ არის ამო-  
ებებული და იმ ადგილს დღესაც ხუტა ჭიონს უმახიან.

ს. დადიანი.





## გიჟო გოგია.

(დასასრული).



აქეაცერად გადმოხტა ძირი კაჭკაჭი, გააკეთა რა-  
მდენიმე სკუპი, და ჩამოითხოვა ზეწიდან ჩხიკვი.  
ისინი თავისებურს დავლურს თამაშობდნენ, კაჭ-  
კაჭი ჯერ ორივ ფეხებზე შემოტრიალდებოდა,  
გადახტებოდა გვერდზე, ჩხიკვისაგენ, და დაიკუ-  
ხებოდა ძირს. ჩხიკვიც თავის მხრივ ჩაჭრავდა რამდენჯერმე  
ბუქნას, მერე აკეთებდა სკუპს და გადაევლებოდა თავზე დაკუ-  
ხელ კაჭკაჭს.

— ჩხიკვურია, ჩხიკვური, გაუმარჯოს ჩხიკვურს! — დაი-  
გრიალა მაურიონმა.

— გაუმარჯოს კაჭკაჭურს! — კიუინებდა მაურიონი.

მოთამაშებმა, თავის მაგიერ, ერთმანეთს ბოლოები დაუ-  
კრეს და შეერივნენ ისევ მაყრებში.

— ხოსობი, ხოსობი ვათამაშოთ, ცენაცენათ, — დაიმახა ვი-  
ღაცამ მაურებიდან.

— უმჭველად, უმჭველად! აბა, მართლა რომ თამაშობა  
მაგან იცის! — მხარი დაუჭირეს სხეუბმაც და, როგორც იქო,  
დიდის თხოვნის შემდეგ ნაზად ჩამოიყვანეს ძირს ხოსობი.  
ერთს წუთს შესდგა, უელი მიისწორ-მოისწორა, გაშალა ფრთე-  
ბი, გაშალა ბოლო და ისეთი სახე მიიღო, სწორედ ანგე-  
ლოზს დაქმსგვასა. ნელ-ნელა შეუმჩნევლად მისცერავდა მწვა-

ნეზე, შესდგებოდა ერთ ხანს, აიხედავდა მაღლა, მცხვდებოდა თვალებს, თითქოს ვიღაცას ემუდარებაო და გვლავ განაგრძობდა წენარდ ფეხებით ლიგლივს. ტაში და დიპლიპიტო უფრო გაჩაღდა. ამ დროს, უცებ ჩირგვებიდან ისკურა მურდღელმა, შედგა უკანა ფეხებზე, უურები მაღლა ასწრა და დაუარა წრეს. ხობობი წრის შეა დასცურავდა ნახად, გურდღელი, უალხზე შემდგარი, წრეს გარშემო უვლიდა. დიპლიპიტო, შაშვის სალამური და ბულბულის ტრა-ტრა იქაურობას აერე-ებდა.

ის კი იუო, გაათავა უკანასკნელი მოლივლივება ხოხობმა, უნდა შეფრენილიერ მაღლა და ამ დროს ვიღაც მოულოდნელად ეცა უკანიდამ. ვერც-კი მოასწრეს მაურებმა თვალი, რომ საწეალს ხოხობს მელა შეა ტეისკნ მიარბენინებდა.

შემკრთალი კურდღელი ხეს შეენარცხა თავით და გაბრუებული დაეცა მირს. ჩხიცვს ნისკარტი ღია დარჩა, კაჭკაჭი ენა დაბმულივით რაღაცას ლუდღუღებდა. და, როდესაც ხოხბის მაგიერ ჲევით მხოლოდ მისი ბუმბული ავიდა, უპლანი მაშინ მიჰხვდნენ, რა უბედურება დაატყვედა თავს მათ დობილს.

— კაჭკაჭკაჭ! — დაიძახა მწუხარედ გაჭკაჭმა.

— ტრა-ტრავ-ტრავ! — ჩაიკვნესა ბულბულმა.

— უგა-უგა-უგა! — დაიჩხავლა ჸატარძალმა, რომელიც თამაშობის დროს საღლაც გაჭკრა და ის-კი იუო მოფრინდა ნადავლით.

სტუმრები აიძალნენ. ან ვიღას ჭირნდა შეიარულების გუნება. დაცარიელდა მუხა, დამგლოვიარდა იქაურობა. მხოლოდ უვავი და მისი უვახალა ბუდემი ტკბილად შეეცეოდნენ გოგიას, და მისი უვითელი ბუმბული ხოხბის ბუმბულთან ერთად ფრიალებდა ჭაერში... ეს იუო მიზეზი, რომ ჸატარძალი თა-

მაძობის დროს უცებ სადღაც გაჭირა. კუმინდელს აქეთ-მოცველ  
სკენებას არ აძლევდა გოგიას ლამაზი ქათიბი.

რა იცოდა საწელმა მოლადურმა, რომ ხოხობთან ერ-  
თად გამოესალმა წუთი-სოფელს მისი საევარელი გოგიაც,  
რომ ლხენა და თამაში შეამად გადაეჭცა.

გამალებული მოფრინდა კაკალხე, დაემვა ბუდეში, რომ  
გადაეჭოცნა თვისი საევარელი ბიჭიკო, მაგრამ, გოგიას მა-  
გიერ, მისი რამდენიმე სისხლიანი ბუმბულიალა დაჭხვდა.

მოლადური ჯერ თვის თვალებს არ უჯერებდა, როგორც  
იქო გამოერკვა უცაბედ ელდისაგან, ჩაიჭიოინა მწარედ, შე  
მოუარა გარშემო რამდენჯერმე დაობლებულ ბუდეს და გა-  
ფრინდა შორს, ტყე-ველისაგენ.

ეძებს მას აქეთ მოლადური გოგიას, ეძებს და ეძახის მო-  
თქმით:

ქორწილი შეამად შემერგო,  
ბიჭი გოგიაო,  
ვინ მომტაცა შენი თავი,  
ვერ გამიგიაო.  
შვილო, შვილო, დაკარგულო,  
სად ხარ, ხმა მომეო?  
შენ დაგემებ, შენს გზას დავალ,  
შენ გენაცებალეო!  
ჭალას ჩავალ, იქ არა ხარ,  
ტყეს შევალ და ვერ გზოულობ,  
ბიჭი—გოგი, ბიჭი—გოგი,  
შენ გემებ და შენ გნატრულობ!  
წეაროს ვკითხე, არ მნასუხობს,  
ნიავს ვკითხე, უურს არ მიგდებს,  
უგავს ვკითხავ და უმალ სიტევას

ეშმაკურად ბანზე მიგდებს.  
 ზღვა, ხმელეთი მოვიარე,  
 ვერსად ვნახე შენი კვალი,  
 ვის მიუმართო, ვინ მიძველის,  
 ვისა უსორებო სამართალი?  
 ვის უძლერო იაფნანა,  
 ვარდო ნანინა,  
 ვა დედას, შენს დამკარგავს,  
 გული დამიდნაო:  
 უშენობით ნაღველი მკლავს,  
 ბიჭო—გოგიაო,  
 შენი ბუდე ასრად გდია—  
 არ დამიგვიაო.  
 ოვალზე ცრემლი არ მიშრება,  
 ბიჭო—გოგიაო,  
 მკვდარი მაინც გნახო სადმე —  
 შევკონო იაო,  
 შევკონო და გულს დაგადეა,  
 მოურწეო ცრემლითაო,  
 შეილო, შეილო გამოზრდილო,  
 წვით და დაგვითაო.  
 კავლის ხეც-კი, ჩვენი ბინა  
 სტირის, შრიალებსო,  
 მის ტოტებში ჩემი პაწა  
 ადარ ფრთხილებსო.  
 სად სარ, სად სარ, შეილო ჩემო,  
 ბიჭო—გოგიაო,  
 ჩემო კარგო, ჩემო გარდო,  
 და ჩემო იაო.


შენს გზას ვეძებ, ვერ ვძოულობ,  
ვერ გამიგიაო,  
ციხმარე დღეს შენ გეძასი,  
ბიჭო გოგიაო!

დაფრინავს მოლადური, დაფრინავს კველგან: ტექი, ჭალაში, მინდორში, არ რჩება მოუჩხრეკავი არც კორდი, არც წეროს ჰირები, არც ერთი ხე, ბუჩქი და გულ-ამოსკვნით ეძახის მას აქეთ ბიჭო—გოგიას.

o. ევლოშვილი.



Pic. O. შვილი



## କହିବା.

(ଜରତମତ୍ତୁମେଧେବାନି ଶିଂହା ଯୁଦ୍ଧାନ୍ତରୁଷିଣୀ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କୁଳି).

ସବ୍ରେନା ଫୁରମାଦଗ୍ରେନ୍‌ ନନ୍ଦାଶ୍ଵର, ସାରାପ ବାବୁଜ୍ଞାବି ତାଙ୍କୁ ନିଜପ୍ରେରଣ କଥା ଓ କଥା  
ନାହିଁ ସାତମାଶ୍ଵରବିନ୍ଦୁ: ଦେଇପଟାଳା, ଅକ୍ଷାନ୍ତି, ଧରାଳା ଓ ଧୂରତା.

### ଅନ୍ତରକଥା ଏବଂ ପରିଚୟ:

ଅନ୍ତରକଥା—ପ୍ରମାଣିତ.

ନନ୍ଦା—ରୂପା.

ତାନ୍ତା—କୃତ୍ତମାରି କାଳି.

ତାମନ୍ତା—ମିଠା.

### ବାହ୍ୟବିବରଣୀ ପରିଚୟ:

(ନନ୍ଦା, ତାନ୍ତା, ତାମନ୍ତା.)

**ନନ୍ଦା.** (ଯୁଦ୍ଧରୁଷିଣୀ) ଦାରୀର ମାନ୍ଦ, ଅନ୍ତରକଥା, ଦାରୀର, କାନ୍ଦାମ ଏବଂ ଦୁଃ  
ଖିମାତି.

**ଅନ୍ତରକଥା.** (କୃତ୍ତମାରି ପରିଚୟ) କୃତ୍ତମାରି କାଳି ପରିଚୟ, ପରିଚୟି.

**ତାନ୍ତା.** ଅନ୍ତରକଥା ପରିଚୟ.

ნინო. (აჩქარებით) შენ, თამრო, ძიმა იქნები, დაჯექი აკვანთან, მე დედა ვიქნები, მეტად შეწუხებული, რომ ჩემ მი ჩაწია შეილი ავათ არის. თინიკო მოვა ჩემ სანახავად.

არჩილი. შემოვიდე?

ნინო. არა, არა! თინა, ჯერ შენ შემოხვად, როდესაც მე დაუბრეველებ. (თინა გიდის, ნინო და თამრო გასწორდებიან სერიოზულ შესახედაობას მიღებენ, შემდეგ ნინო მოუბრუნდება თამროს) არ დაგვიწყდეს ბავშვის მუმუს ჭმევა.

თამრო. ქალბატონო, მიონი, ბავშვი მალისნ ავად არის.

ნინო. (მიუახლოვდება აკვანს) მართლაც, ცუდი უერთ ადევს. რადა მეშველება. ჰმ! ჰმ... (ჩასხველებს) შემოდი, თინა!...

### გ ა მ ო ს ვ ლ ა გ ა მ ო რ ა.

(იკინივე და თინა)

თინა. (გამოდის ფარდიდან, ფარდის იქიდანვე) გამარჯობათ, გენაცვალეთ. ხომ კარგად ბმანდებით?

ნინო. კარგად, კარგად, მხოლოდ ჩემი ჩატარა ქალი მეავს ავად!

თინა. ოჟ, საცოდავი ჩიტუნია! რა დაქმართა?

ნინო. რა ვიცი, თქვენი ჭირიმეთ, ძიმა ამბობს, რომ არა უჭამდა-რაო.

თინა. შეიძლება, რამე საწეუნი ჭამა?

ნინო. ოჟ, არა, ძიმა კარგად უვლის... რა აჭამეთ დღეს, თამრო?

თამრო. ჩვენი სადილი იქთ: ქათამი, მაროუნი, საჭაპური... კი აღარა სჭამა-რა.

- ნინო. რადა მეშველება!
- თინა. კარგად გვრმნობ თქვენს მწუხარებას: გიცდ, რა არის შვილის სიევარული, რადგან მე თვითონ დედა ვარ.
- ნინო. ბეჭრი გეხვთ, ბატონო, შვილები?
- თინა. ოთხი, ბატონო.
- ნინო. რამდენ-რამდენი წლისა არიან?
- თინა. უველა ერთის ხნისანი არიან — ხუთ-ხუთის წლისა.
- ნინო. ოჯ, რა შეწუხებული იქნებით!
- თინა. ნუდარ მკითხავთ, ბატონო. თმაც გამითეთრდა იმათვი ჯავრით. იმ კვირაში დიდი ხველა სჭირდათ, მაგრამ ექიმი არჩილი აცოცხლა დმერობა. ისე უკეთა, რომ სიკვდილს გადამირჩინა.
- ნინო. მოდი, მეც მოვიუგანო თქვენი ნაქები ექიმი.
- თინა. ძალიან კარგს იზამთ.
- თამრო. გნებავთ, მოვიუგანო, ქალბატონო?
- ნინო. მამ, კარგი, მიმა, ბაგშვი მომეცით და თქვენ გაიქმნით. (ნინო თამროს ადგილს დაიჭირს. თამრო გავარდება ექიმის მოსაუგანად).
- თინა. (საიდუმლოდ) მე მეონი ხაჭაპური აღარ უნდა გეხს მიათ. წარმოიდგინეთ, გუმინწინ მე თვითონ მაწეონა.

### გ ა მ ო ს გ ლ ა გ ვ ს ა მ ი .

(ნინო, თინა, თამრო, არჩილი).

- თამრო. აი, ექიმიც.
- ნინო. ჩქარა, მომეშველეთ, ექიმო.
- არჩილი. (ხელის ფშვნეტით), გამარჯობა, ბატონო! რაშია საუ-  
მე. თქვენ ბრძანდებით ავად?
- ნინო. ბრა, ექიმო, ჩქმი პატარა ქალიშვილი გახლავთ.
- ირჩილი. კარგი, ძალიან კარგი, მამ, გავსინჯოთ. (მიუახლოვ-

დება) გამოუავი ენა, ჩემო კარგო, გამოაუღისტეთ ქნებ, ქალბატონო! (ნინო თთონ გამოჭეოვს გრძლად ენას).

**არჩილი.** ჟმმ, ენა მალიან ცუდი აქს. ახლა მაჯა გნახო. (ამოიღებს საათს და სოფლის წუთებს დინჯის სახით) თქვენი შვილი მალიან ავად არის, მაჯა ას-ოთხმოც და თვრამეტი აქს წამში.

**ნინო.** (გრძნობით) მომირჩენთ ჩემს შვილს, ექიმო?

**არჩილი.** რასაკერძელია, ქალბატონო, მე გარჩენ ეგელა ავად-მეოვებს. გუშინ კაცი ჩამოვარდა ჭაროპლანიდან, მკვდარი ეგონათ, წეალში გადააგდეს, მაგრამ ამ დროს იქ დაგესწარი, ამოვაუგანინე და ისე გარგად უექიმე, რომ ორი დღის შემდეგ გელოსინედით მოხრიგინდა სახლში.

**თინა.** რა სასწაულია!

**არჩილი.** ჩემ კისერზე იყოს თქვენი შვილის მორჩენა, მხოლოდ უოველი ჩემი დარიგება უნდა აასრულოთ.

**თინა.** ჩვენ, ექიმო, თქვენი მორჩილი ვიქნებთ.

**არჩილი.** ბირეველად მისცემთ კუჭის გასაწმენდს: ათ გრან ფინაციების, დააკრით სამოც წურბელას. ბოლოს გაუკეთებთ თავის ვანას: ათის წუთით ჩააყოფინებთ თავს აღუღებულ წეალში.

**ნინო.** ბატონო, ექიმო, ეგ ხომ მავნებელი იქნება?

**არჩილი.** სოულებით არა, ბატონო, ჩემი ამხანავი — ექიმები ფეხებს ჩააყოფინებენ ხოლმე აღუღებულ წეალში, როდესაც ავადმეოვს სისხლი თავში მოაწვება. იმათ არავერი გაეცებათ. მე-კი თავს ჩაგაუღინებ ხოლმე.

**ნინო.** მალე, მალე, თამრო, მოამზადეთ ვანა! (თამროს მოაქს ტაშტი, ნინო შიგ ჩასდებს დედოფალას თავით. არჩილი — სოფლის წამებს).

ცერიტეტი

მისამართი

- არჩილი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რეზა  
ცხრა, ათი!.. ამოღვანეთ!.. (ამოღვანებენ დედოფა-  
ლას, ბავშვები შექმნიან კიგილს).
- გველა. ოჟ!.. დედა, დედა!
- არჩილი. რა მოხდა, რა ამბავია?
- ნინო. სულ და ჯარიგია უერთ წეალში.
- თინა. შეხედეთ, ექიმო, როგორ გაევითლდა.
- ექიმი. ეგ ნიმნავს, რომ ჩემი წამალი მოსახდენია. ახლა  
სრულიად არ აწვება სისხლი თავში.
- ნინო. ახლა უარესი შესახედაობა აქვს.
- არჩილი რასა ეგიორევლია, ჯერ მორჩენილი არ არის. ამ პა-  
წიას რაღაც საწევნი უჭამია, ხაჭაპური ხომ არ უჭა-  
მია?
- თინა. სწორედ... ექიმო!
- არჩილი. მაშ, ის ხაჭაპური ვერ მოუნელებია ამის გუშს. სა-  
ჭიროა თევრაცია.
- ნინო. (შეწუხებით)... ოჯრაცია!?. მე ვერ გაუძლებ ამ ოჯ-  
რაციას.
- თინა. მე გული შემიწუხდება.
- თამრო. მეც.
- არჩილი. მაშ, თქვენ ნუ უურებთ, მხოლოდ ხაჭაპური მომეცით.
- თინა. ხაჭაპური რისთვის?
- არჩილი თუ ხაჭაპური არ დაფიქრე ხელში, ის მოუნელებე-  
ლი ხაჭაპური არ მოიძებნება გუშში.
- თინა. რას არ მოიფიქრებენ ეს ექიმები!
- თამრო. მაშ, მოვიტან ხაჭაპურს.
- არჩილი. (ტუქებს მოილოვავს, გულში სელს ჩაიგრავს) ამას მე  
მოფუმებნი ადგილს. (ნინოს) აბა, ერთი დიდი დანა  
მომეცი.

- ნინო. დიდი დანა არა გვაძეს.
- თინა. არ, მაკრატელი.
- არჩილი. ამასაც არა უშავს რა.
- თამრო. არ, საჭაპური, ბატონო.
- არჩილი. საქმე კარგად არის, ახლა ქალბატონებო, მობრუნეო  
ზირი. მე რომ „ოთხს“ ვიტევი, ოჯორაცია მაშინ გა-  
თავებული იქნება.
- ნინო. (მიბრუნებული) ოჟ, ექიმო, შიშით აღარა ვარ.
- თინა. (მიბრუნებული) გული მიკანკალებს.
- თამრო. (მიბრუნებული) მეც.
- არჩილი. (დედოფალა კალათაში ჭეავს, მაკრატელი ერთ სელ-  
ში, საჭაპური მეორეში) შეხედეთ, დიდი აღვილის გა-  
ჭრა დასჭირდება, რომ საჭაპური გამოეტიოს (სჭრის  
დედოფალას მუცელს) ერთი!... (ზომავს საჭაპურით).  
მე ვხედავ, რომ აქ არის. ორ... ორი! (მოჟკბებს გა-  
მოიანად საჭაპურს და დაუზელს მუცელს) აჟა, გა-  
მოდის!... ოთხი!... (ბავშვები მობრუნდებიან).
- ნინო. (მიაშურებს თავის დედოფალას) ვაძე, მთლად გაუ-  
ფუჭებია ჩემი დედოფალა.
- არჩილი. სისხლი გამოსულა. ეს აუკილებელია ოჯორაციის  
დროს.
- ნინო. კა შვილი ოჯორაცია, კა მოუვიდეს შენ თავს.
- არჩილი. არ, საჭაპურის ამოღება, კარგ იყენებიას ნიშნავს.
- ნინო. მოგვეცი აქ საჭაპური!
- არჩილი. ვერ მოგაროვი! ეს ჩემი ქირაა, მე მივირთმევ.
- ნინო. საჭაპურიც წამართვი, დედოფალაც წამისდინე.
- არჩილი. (წაართმევს დედოფალას) ერთი უსიამოქნო სიტევა და  
თავს მოვწევებ შენ ქალიშვილს.
- ნინო. დამიბრუნე ჩემი გოგონა.

არჩილი. (დაანძრებს დედოფლას) არასოდეს!

ნინო. ჩემი დედოფალა, ჩემი დედოფალა... (ტირილით ებრძუნის არჩილს და ართმევს დედოფალას. დედოფალას თმა შერჩება ხელში არჩილს, ტანი—ნინოს, ბაგჰევ-ზი გააბამენ წიკილ-კიკილს).

კველა. უძე! უძე!

არჩილი. ქალბატონებო, მოწამენი სართ, რაც უბედურობა მო-  
სდა, ჩემი ბრალი არ არის.

ნინო. გამეტალე, მე საძაგელო. შენთან არასოდეს აღარ გი-  
თამაშებ.


არჩილი. შეიარესად მენახოთ, (მიმართავს თინას) თქვენ ით-  
ხი პუილის დედა ბმანდებით, კინიცობაა აფად გაგ-  
ხდეთ, მე ნუ დამივიწყებთ.

**თინა.** სწორედ იმ წამსვე ვაფრენ კაცს შენთან! არ, რა იცის  
ჰავარა ბიჭებში თამაშმა!

ବୀରା. ବୀରାରୁ ପ୍ରକାଶନ କାଳୀମାଳା.

მარიამ იოსეგლიანი.





## ვრიცხველებება გელას პუდით ქვა ასროლინეს.



**რ**ამდენისამე წლის წინად ინგლისში ორი მონადირე გააოცა საკუროველმა სანახაობაში. მთიდგან რკინის ვზის საღვურისაკენ მიჭროდა უშველებელი მელა, რომელსაც მისდევდა მთელი გუნდი ფრინველებისა.

გულ-მოსულობა ეტეობოდათ: კველანი სა-  
თოთაოდ ცდილობდნენ დასწერნენ მელიას და  
თავში ნისკარტი ჩაეკრათ. ფრინველებისაგან გულ-გახეთქილმა  
მელამ, როგორც იყო, მიაღწია თავშესაფარს და თვალის და-  
სამსამებაზე შეძლო შიგ.



ფრინველებმა იტრიალეს-იტრიალეს იმ ადგილას, სადაც  
მელა დაიმალა და, რა დარწმუნდნენ, მტერი სელიდგან წაბე-  
ვიდათ, დაბრუნდნენ უკან.

უკაველია, მელამ დაუშავა რამე, მიაგნო იმათ ბუდეებს და  
ბარტეების შექმა მოისურვა, შეკროვილან ფრინველები და  
მტერი გაუმცებიდათ. შეერთებულის ღონით მტერი უოგელოვის  
დამარცხდება,




## ରୋଗପତି.

(ଆନନ୍ଦମନ୍ଦିରଙ୍କୁଳି ଲେଖକ ଡା. କୁମାରସ୍ଵାମୀ-ମିଶ୍ର)।

2, 5  
8,

” ୩୦



୫

ଅ- 1 ନଂ ଶବ୍ଦ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ବାଚକତଥାରୁ ଆଲ୍ଲେ:

ଯାମନ୍ଦିରଙ୍କୁଳିରେ: 1—ମୁଦିନାର୍ଜ. 2—ତ୍ରପ୍ତଲିନ.

ଯେବେଳିଲିରେ: ମୁକ୍ତବାରି.

ଅନୁଷ୍ଠାନିକ ବାଚକତଥାରୁ ଯେ—୨ ମାନ. ମୁନ୍ଦ—୭ ମାନ.

ରେପ୍ରେସିରେ: କାର୍ତ୍ତିକ ମୁଦିଲି ରେଧିରେ ବୁଲିବା ପାଇଁ।



„ნაკადული“-ს რედაქციაში

იურება შემდეგი წიგნები:

1.	ტომის თავგადასავალი მარკ ტვენისა.	.	ფასი	50	კ.
2.	რას გვიამბობს ოთახი,—ავენარიუსისა	.	"	20	კ.
3.	სკრუჯი და მარლეი, ჩ. დიკენსისა	.	"	25	კ.
4.	სამშობლო ბუნების სარკე,—ივ. ელია- შვილისა.	.	"	30	კ.
5.	ლევ ტოლსტოის მოთხრობები	.	"	5	კ.
6.	კუბიკური ასაწყობი ანბანი.	.	"	1 პ.	—

ყოველ-დღიური საბოლოოები და სალიცერაცურო გამოყენა

# „სახელმწიფო გაზეთი“

გამოვა 1911 წელს იმავე პროგრამით რო-  
გორც 1910 წ. გამოდიოდა.

ეოგელ-დღიურ გამოცემის გარდა 1911 წ. გაზეთს ექნება

სერატაგიანი დამატება კვირალაბით.

მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის. გაზეთის ფასი:  
 წლით, ოვორუც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ 8 მ. და 50 კ.  
 ნახევარი წლით 4 მ. 80 კ., წლიურ ხელის მომწერლებს შე-  
 უძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ. ხე-  
 ლის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წე-  
 რა-კოთხვის საზოგადოების მარაზიაში ი. ავალი შეიოთან...

Խաղաղութեան օգոստի 10-ին: Տիֆլիս, րедакցիա „Сахалхо Газети“.

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თო- თო წიგნი იქნება 300 -500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით. „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერ- ლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის-კი ელი- რება არა ნაკლებ თითო მანეთისა.

# მიმღება ხელის მოჭერა

1911 წლის იანვრიდან 1912 წლის იანვრამდეს  
საქმაწყვილთ სურათებიანი ქურნალი

# ნაცაღული

ფილიფალი მაჟვილე

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი უურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი უურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1911 წლის ხელის მომწერლებს საჩუქრად მიეცემათ:

I. ლევ ტოლსტოის მოთხოვა: **გავშვობა** და **სიყრევა**,  
თარგმანი, ლევ ტოლსტოის სურათით და ბიოგრაფიით, — II. „რჩეულ  
მოთხოვათა პრეზული“.

უურნალს ხელმძღვანელობს უწვევს საგანგებოდ არჩევები სარცხვა-  
ცოდ კომისია.

ფასი უურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. სახევარის წლით სამი მა-  
სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. სახევარ წლით ღოთხი  
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12  
წიგნი სამი მან. — ხელის მოწერა მიიღება წლიურად და სახევარი წლით.  
ფულის შემთხვენა შეიძლება ნაწილაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროს., ზუბალო-  
ვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით სალაშოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მიაღ-  
იაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის მომწერთ:

ვისაც უურნალის ნომრები დაკლდება, მიმართონ აგენტს ანუ  
რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.